წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. ოთხშაბათი, 17 აგვისტო

# სამშობლო

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისს ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 429 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. — № 429

## ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 15 აგვისტოდან ახალი პროგრამა.

### ვასილისა

კინო დრამა, „რუსულ ოქროს სერიიდან“ 4 ნაწილად გლეხის ცხოვრებიდან. მონაწილეობას ღებულობენ სამეფო თეატრის მსახიობები ვ. ფ. ლებედევი, ქელუბიაჟსკი, ლავინა და მსახიობი ქალები ნეზლობინის თეატრიდან ა. იანუშევისა

### მე არ მწამს ქალის კეთილმოქმედება.

მხიარული კომედია გ. დე-მოპასანიდან. უმთავრეს როლებში ნ. ა. ჩერნოვისა

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 18 აგვისტოდან **გომონის ქრონიკა**, მიმდინარე ამბები. **ის გაზაფხულზე იყო.** თანამედროვე დრამა 3 ნაწ. ხანჟონკოვის საზოგ. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. **მაკაკის ოინბაზობა.** მხიარული კომედია 2 ნაწ. ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

## ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან, 15 აგვისტოდან ახალი პროგრამა. **გომონის ქრონიკა.** მიმდინარე ამბები.

### პატივმოყვარეობის სავაჭრო ადგილი.

(სისხლით გასვრილი მილიონები). ძლიერი თანამედროვე დრამა 5 ნაწილად, ცნობილი საფრანგეთის ფაბრიკა „ეკლერის“ მიერ დადგმული. უმთავრეს როლს შეასრულებს სახელგანთქმული მოცეკვავე ქალი რეჟინა ბადე.

**ანონსი;** ხუთშაბათიდან, 18 აგვისტოდან **მტრის ძალა.** ძლიერი დრამა 4 ნაწილად ბ. იანუშევისა, პავლოვის, ტეზავრევსკისა და სხვ მონაწილეობით **გომონის ჟურნალი** უკანასკნელი ამბები. **ცეკვისა და სიყვარულის გაკვეთილები** სახუმარო.

ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების წევრთა ერილობა მობილიზაციისა და სხვადასხვა მიზეზებისა გამო 21 აგვისტოს აღარ მოხდება; გადადებულია სხვა უფრო მოხერხებულ დროისთვის.

2—1 **მასწ. დამხ. საზ. გამგეობის მდივანი მ. ჩეჩელაშვილი.**

## იყიდება

ქ. ქუთაისში, სტეფანე ფეიქაროვის სავაჭროში, ეურმნის საქაჩავი და ეურმნის საწური. ვურჩევთ სოფლის ბანკებს და კოოპერატივებს შეიძინონ გასავრცელებლად სოფლის მეურნეთა შორის ზემოხსენებული საქაჩავი, ვინაიდგან იგი დიდ დახმარებას გაუწევს მათ მუშა ხელის ნაკლებობის გამო. თ.

ქ. ქუთაისში, გაღმა უბანში, ბაღის და პოდგორნი ქუჩებში იყიდება ორსართულიანი სახლი 18 ოთახით და დაბლა ექვსი დუქნით. პირობების გაგება შეიძლება ქ. ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე ივანე კარტოზიასთან.

277 12—3

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრინისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ექიმი ა. მ. ასათიანი.** რადგანაც სამსახურის გამო ესენტუკში გაიწვიეს მინერალურ წყლების ჯგუფის ექიმად მან ავათმყოფების მიღება 1 აგვისტომდის შეწყვიტა.

**ბებია მ. მ. კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12\frac{1}{2}$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათ მყოფებს.

მისამართი: ლვავშოვის ქუჩა, ალიხბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

## დოქტორი მედიცინისა

პრივატდოცენტი

**ვ. პ. მოსეშვილი**

მიიღებს შინაგანი და ნერვების ავადმყოფობით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 საათამდი და საღამოს 6 ს.—8 საათ.

2 გოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

## გაზ. „სამშობლოს“ კანტორა

პატივისცემით მოაგონებს თავის წლიურ ხელის მომწერთ, დააჩქარონ ხვედრი ფულის შემოტანა. უკიდურეს შემთხვევაში აგვისტოს პირველიდან მათ გაზეთი აღარ გაეგზავნებათ

## განცხადება.

### ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში

თავისუფალი ვაკანსიები არის მხოლოდ მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებაში.

მისაღები ეგზამენები 22 აგვისტოს დაიწყება, ხოლო ხელმეორე ეგზამენები 28-ს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

285 12—1.

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 13 აგვისტო. კარპატებში ნადგორნაიას დასავლეთით ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს, დაიპყრეს სოფ. გუტა და მდინარე ჩისტიეს ნადგორჟანის საფალოვის მიდამოებში.

**კავკასიის ასპარეზი.**

ქალაქ ქ. ყიგი ვანის ტბის ბრძოლის ხაზზე მედგარი ბრძოლა გრძელდება, ჩვენმა ჯარმა ქ. მუში დაიპყრო და დაგურქედს მიადგა საიდანაც ტყვეები წამოიყვანა მოსულის მიმართულებით ოსმალეთის მეოთხე დივიზიის გადარჩენილ ნაწილის 32 დეკნით.

**ბალკანეთის ასპარეზი.**

რუსის ჯარი სალონიკში მივიდა და მოკავშირეთა ჯარს შეუერთდა. ფრანგთა გენერალ სარაილის განკარგულებაში იმყოფება ინგლისელები იტალიელები სერბიელები და ფრანგები ამ ნაირათ მოკავშირეთა ძალებიყველა ასპარეზებზე დაჟინებით და განუწყვეტლივ ძლიერდება.

**პეტროგრადი** 13 აგვისტო დასავლეთის და კავკასიის ასპარეზე მდგომარეობა უცვლელია.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი 14 აგვისტო.** შმარდენის მიდამოებში მამაცმა ლატიშებმა ორ ალაგას გასჭრეს მავთულის ხლართები შემდეგ გარღვეულ ნაპირებს მოსდეს ლუზები და 30 ნაბიჯზე სულ აგლიჯეს მავთულის ხლართები მოწინაღმდეგემ სროლა აუტეხა ლატიშებს მაგრამ უშედეგოდ დრისვიატის ტბის მიდამოებში მტრის ჰაეროპლანები დაფრინავდნენ და ყუმბარები ჩამოყარეს მოკლულ იქნა მღვდელი იოაკიმ სედლეცკი, თავის მოვალეობის ასრულების დროს მდ. სტოხოზე სოფ. ტიუბოლთან მტრებმა ძლიერი საარტილერიო სროლა აუტეხა ჩვენს გადასავლებს მდინარეზე: ვაჟკაცურად მოკლულ იქნა პოლკის უფროსი პოლკოვნიკი ზიკოვი. კარპატებზე კევერლის მთის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტერი პოზიციებიდან განდევნა (ქალ. კოვერლადან ჩრდილო აღმოსავლეთით 5 ვერსის მანძილზე.) დაიპყრო სიმაღლე 1129 დაატყვევა 3 აფიცერი 146 ჯარის კაცი და ხელთ იგდო 4 ტყვიის მფრქვეველი ჩვენი წინსვლა გრძელდება.

**კავკასიის ასპარეზი.**

დიარბექირის მიმართულებით მედგარი ბრძოლები გრძელდება; ჩვენმა ჯარმა მიაღწია მდ. მასლა დარასის, რომელიც კურიკთან ეფრატს ერთვის.

**დასავლეთის ასპარეეზი.**

**პეტროგრადი.** 15 აგვისტო 13 აგვისტოს კოლდიჩევის ტბის ჩრდილოეთით მტრის ჯარი წინ წამოსვლას ეცადა, მაგრამ ჩვენ ზარბაზნები დავუშინეთ და თავის თხრილებშივე ჩავაბრუნეთ. მდ. შარახე ბარანოვიჩ-ლუნინეცის რკინის გზის სამხრეთით გერმანელთა ორმა ბატალიონმა შემოუტია ჩვენ მოწინავე ჯარს, რომელსაც დასავლეთ ნაპირის თხრილები ეკავა, იერიშები მოვიგერიეთ. მდ. სტოხოდზე დაბა. სტობიხოვის სამხრეთით ჩვენმა მზვერავებმა ალყა შემოარტყეს ავსტრიელთა მოდარაჯე რაზმს და დაატყვევა. მდ. დნესტრზე მარიამპოლის ჩრდილოეთით და სოფ. დელეუევის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა ერთი ჰალა დაიპყრო და იქვე გამაგრდა; აქ ჩვენ დავატყვევეთ 1 აფიცერი 37 ჯარისკაცი და ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიისმფრქვეველი.

**კავკასიის ასპარეზი.**

ყიგი-ვანის ტბის ხაზზე ბრძოლა გრძელდება. ჩვენმა ჯარმა მდ. მასლა-დერესის მარცხენა ნაპირის თხრილებიდან განდევნა ოსმალები და მარჯვენა ნაპირზე გადავიდა.

ბითლისის ჩრდილოეთით კონტრიერიშით მტერს სამხრეთით დავახევინეთ; ამასთანავე დავატყვევეთ 11 აფიცერი და 200 ასკერი 3 ტყვიისმფრქვეველით. მოსულის მიმართულებით წერისა და საკკიმის მიდამოებში ოსმალთ ვავიწროვებთ.

**რენი.** 15 აგვისტო. მოკავშირეებთან მჭიდროდ შეკავშირებულმა რუმინიამ ომი გამოაცხადა.

**სტოკჰოლმი.** 15 აგვისტო. ბერლინიდან ოფიციალურად იტყობინებიან, რომ რუმინიამ ავსტრო-უნგრეთს ომი გამოუცხადა. მოწვეულ იქნა გერმანიის საკავშირო საბჭო.

**ლონდონი.** 13 აგვისტო. ოფიციალურ ცნობის მიხედვით 11 აგვისტოს გერმანელთა წყალ-ქვეშას ჩრდილოეთ ზღვაში ინგლისის დამხმარე კრეისერი „დიუკ ვჰალბანია“ დაუღუპავს. უგზო უკვლოდ დაკარგულა 22 მეზღვაური 85 გადაურჩენიათ.

**რუმინიის გამოსვლა.**

**რომი.** 14 აგვისტო. შვეიცარიის მთავრობის წარმომადგენლის პირით იტალიამ გერმანიას ომი გამოუცხადა.

**ლონდონი.** 12 აგვისტო. ბრიტანიის ოფიციალური ცნობა. წარსულ ღამეს გენშის დასავლეთით მტერი ცდილობდა ჩვენი თხრილების წინააღმდეგ იერიშის მოტანას, მაგრამ ტყვიისმფრქვევლის ცეცხლით მოვიგერიეთ.

მდელვილის ტყის ახლო ძლიერი საარტილერიო ბრძოლა წარმოებდა. იქვე ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი ტყვიის მფრქვეველი და დავატყვევეთ 20 კაცი მათში ერთი აფიცერი.

**პეტროგრადი.** 14 აგვისტო გარეშე საქმეთა სამინისტრო იტყობინება, რომ რუმინიამ ავსტრიას ომი გამოუცხადაო.

**პეტროგრადი.** 15 აგვისტო. დასავლეთის და კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**სტოკჰოლმი.** 15 აგვისტო. გერმანიამ ომი გამოუცხადა რუმინიას.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

მდ. სომმაზე 3—9 აგვისტოს დიდი ბრძოლები მოხდა. გერმანელები თავ განწირულად იბრძოდენ და ყოველ უმნიშვნელო ადგილს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იცავდენ. ინგლსელებმა ოდნავ წინ წაიწიეს. ზარალი ორივე მებრძოლ მხარს დიდი აქვთ.

— —

„რუსკ ინვალიდი“-ს ცნობით ამ მოკლე ხანში გერმანიის ფლოტი ბალტიის და სამხრეთის ზღვაში აქტიურ მოქმედებას დაიწყებს.

— —

იტალიანურ გაზეთების გადმოცემით ავსტრიის მთავრობას სიკვდილით დაუსჯია აჯანყებულ ალბანელთა მეთაურნი.

— —

ფრანგული გაზეთები იტყობინებიან, რომ მდინარე სომმისკენ გერმანელებმა ფელდ მარშალ ფონკელფის სარდლობით ახალი ორი კორპუსი ჯარი გაგზავნაო.

— —

„მატენი“ სწერს: ტრიესტის დაცვა გერმანიამ იკისრაო.

— —

იტალიის ასპარეზზე ველენცოსთან მძაფრი ბრძოლა მომხდარა. იტალიელები დიდათ დაზარალებულან, ავსტრიელების ჯარში გერმანელები შეუნიშნავთ.

— —

რუსეთის შავი ზღვის ფლოტილია განაგრძობს ბოსფორზე ყუმბარების დაშენას. უკანასკნელ დროს ფლოტილიამ დაატყვევა ოსმალთა გემი „ოსმალეთი“.

— —

ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე მოსულმა იტალიის ჯარმა უკვე მოქმედება დაიწყო.

— —

რუსის ჯარის სალონიკში მოსვლას ინგლისის პრესა დიდის აღფრთოვნებით მიგებებია.

— —

ბალკანეთზე სერრესის მაღლობთან დიდი შეტაკება მოხდა- ფრანგების ჯარმა ყუმბარები დაუშინა ბულგარლებს, რომლებმაც კონტრიერიშით უპასუხეს.

— —

ბელეშთან ბულგარეთის რაზმი საბერძნეთის ჯარს შეებრძოლა.

— —

ბალკანეთზე ავსტრო ბულგარეთ-გერმანია ოსმალეთის ჯარის რაოდენობა 300,000 ყოფილა. მათ მთავარსარდლობს გენერლები ბოიაჯევი და ტოდოროვი.

— —

# ომის დღიური.

**რუმინიამ ავსტრიას ომი გამოუცხადა**. გერმანიამ კი რუმინიას გამოუცხადა ომი. იტალიამ კი გერმანიას გამოუცხადა ომი.

**აღმოსავლეთის ასპარეზი**. ასპარეზის ჩრდილოეთ ნაწილში რამდენიმე ალაგას გერმანელები წინ წამოსვლას ეცადნენ, მაგრამ რუსებმა ყველგან შეაჩერეს მდ. დნესტრზე რუსებმა წარმატება ნახეს; წამოიყვანეს ტყვეები და დავლა ჩაიგდეს ხელთ. ღრისვიატის ტბის მიდამოებში რუსის ჯარს თავს დასტრიალებდნენ გერმანელთა ჰაეროპლანები და ყუმბარებს ყრიდენ მდ. სტოხოდზე გერმანელები მკაცრად უშენდნენ რუსების გადასავლებს და მოკლულ იქნა პოლკ. ზიკოვი. კარპატებზე რუსებმა სიმაღლე კევერლა დაიპყრეს.

**კავკასიის ასპარეზი**. დიარბექირის და მოსულის მიმართულებით მედგარი ბრძოლები გრძელდება. რუსებმა მდ. მასლა=დარასი გადალახეს. ბითლისის მიმართულებით რუსებმა ოსმალებს უკან დახევინეს.

**დასავლეთის ასპარეზი**. კერძო ხასიათის ბრძოლები ასპარეზის ზოგიერთ ნაწილში კვლავ სწარმოებს.

**იტალიის ასპარეზი**. წვრილ ბრძოლებს აწარმოებენ იტალიელები თავის მდგომარეობის გასამტკიცებლად.

**მაკედონიის ასპარეზი**. ბრძოლები შენელდა ახლო მომავალში რუმინეთის ომში ჩარევის გამო ამ ასპარეზზე დიდი ამბებია მოსალოდნელი.

---

ინგლისში რუსეთის ქვეშევრდომი ებრაელები ჯარში გაუწვევიათ.

— —

იტალიის ასპარეზზე ალპის მსროლელები ანენცს უახლოვდებია.

— —

„მორნინგ პოსტი" გადმოგვცემს: ავსტრიას განზრახვა აქვს ვისლის სანაპიროები და გალიცია სამეფოდ გამოაცხადოს, როგორც ჰუნგრეთია. მეფედ ჰაბსბურგთა მოგვარე დაუყენოს და სატახტო ქალაქად ვარშავა მიუჩინოსო.

— —

ასკვიტმა შეკითხვაზე თემთა პალატას უპასუხა: დღემდე სერიოზული მოლაპარაკება ზავის ჩამოსაგდებად არ მქონია, რადგან არ შეიძლება სერიოზული ანგარიში გაეწიოს გერმანეთის მთავრობის მიერ წამოყენებულ ზოგიერთ მოკავშირე სახელმწიფოთათვის მეტის-მეტად დამამცირებელ ზავის პირობებსო.

— —

ავსტრიის სახელით გერმანეთის ელჩმა ფონ ბუშმა ბრატიანუსს ახალი წინადადება მისცა. რამდენსამე დღემდე პასუხის მიიღებას არ მოელიან. რუმინეთში მღელვარებაა. ამბობენ, უეჭველად ომი დაიწყებაო.

— —

რუშჩუკში და ლომპაკანაკში დიდძალი ახალი ყალიბის ზარბაზნები და არტილერია მიუზიდნიათ.

— —

მდ სტოხოდის ნაპირებთან გერმანელები შემოტევას განაგრძობენ.

— —

სოლუნში სერბიელები ენერგიულად განაგრძობენ შემოტევას. როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ ბულგარეთის შტაბს მათ წინააღმდეგ მე 4 არმია გაუგზავნიათ.

— —

სოლუნის ფრონტზე ბულგარეთის ჯარს ნაბრძანები აქვს გამუდმებით შეტევა აწარმოოს.

— —

ოსმალეთმა სუეცის არხისკენ 20 ათასი ახალი ჯარი გაგზავნა.

— —

სერბიის პარლამენტი კუნძულ კორფუზე გაიხსნება 10 ენკენისთვეს.

— —

გერმანიის წყალქვეშა გემი „დეუჩლანდი" რომელიც ამერიკაში იყო გაგზავნილი 22 დღის შემდეგ უვნებლად დაბრუნდა

— —

საფრანგეთის მთავრობამ სამხედრო სამრეწველო კომიტეტებში სამუშაოდ 10 ათასი ჩინელი მუშა გადაიყვანა.

— —

ინგლისელების ცნობით მიმდინარე ომში დღემდის გერმანელებს 1,000 ექიმი დაღუპვიათ.

— —

გერმანელებს კრაკოვის დასაცავად ჰუსართა სამი პოლკი გამოუგზავნიათ.

— —

ბრუსილოვის ჯარმა გალიციაში წინსვლა შეაჩერა.

— —

კავკასიის ასპარეზზე ოსმალებმა ქ. მუში მიატოვეს და ისევ ბითლისის რაიონში გამაგრდენ. ქ. ბითლისი ოსმალთა ხელშია.

— —

დიარბექირთან ბრძოლის დროს მონაწილეობას ღებულობდა ოსმალთა მე-6 არმიის მეოთხე დივიზია, რომელიც ძალზე დაზიანებულა.

— —

გოვარდის უნივერსიტეტის რექტორს ცნობილ პაციფისტ ელიონს უთქვამს, ზავის ჩამოგდება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო, როდესაც გერმანია სრულიად დაემხობა და ქედს მოიხრისო.

— —

სამხრეთის ზღვაში შეუნიშნავთ ინგლისის 100 გემიანი ესკადრა..

---

## ორი დიდი მოვლენა.

13—15 ავგისტოს პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო მეტად საყურადღებო ამბავს გვატყობინებს.

ამ ცნობით ვგებულობთ, რომ იტალიის სამეფოს გერმანიისთვის ომი გამოუცხადებია და ბუქარესტში დამთავრებულა დიპლომატიური ვაჭრობა, რომლის შემდგომაც დაუსრულებელ ყოყმან—ორჭოფობაში მყოფი რუმინია ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოებს მიმხრობია და ავსტრო-უნგრეთისთვის ომი გამოუცხადებია.

მიმდინარე მსოფლიო ომში ეს ორი დიდი მოვლენა არის შეთანხმების სახელმწიფოთა სასარგებლოდ. ბრუსილოვის ჯარის მედგარმა იერიშებმა იტალია იხსნა ავსტრიელების რისხვისგან. და დღეს ამ სიკეთის სამაგიეროდ შეთანხმების სახელმწიფოებმა იტალიას გერმანიისადმი ომის გამოცხადება მოითხოვეს, რაც ფორმალურად კიდეც შეასრულა.

რაც შეეხება რუმინიის გამოსვლას ეს დიდათ საყურადღებო მოვლენაა. რუმინია მდებარეობს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და მეზობლობს, ბულგარეთ, ოსმალეთ, ავსტრიას, მას ომის დროს ბრძოლის ველზე შეუძლიან გამოიყვანოს ნახევარი მილიონი გაწვრთნილი ჯარი.

რუმინია ედავება ავსტრიას ტრანსილვანიის გამო, რომელიც ავსტრიელთა მფლობელობაშია და რომლის მცხოვრებნიც რუმინები არიან.

მკითხველებს მოვაგონებთ, რომ შეთანხმების სახელმწიფონი დიდათ უმადურნი იყვნენ იტალიისა, რომელსაც მათ მხარეზე გამოსვლას ჯერ, ერთი, რომ დიდი არაფერი გაუკეთებია და მეორე კიდევ იგი შეთანხმების მტრებს, გარდა ავსტრიისა ომს არ უცხადებდა.

მართლაც იტალიას დღემდის ომი არ გამოუცხადებია გერმანია ოსმალეთბულგარეთისთვის და ეს ორ გვარის მოსაზრებით აიხსნებოდა გერმანიასთან იტალიას საიდუმლო კავშირი ჰქონდა, და ამასთანავე კიდეც, რომ გამოეცხადებია ომი მის მდებარეობის წყალობით გერმანიას ვერაფერს დააკლებდა მაშასადამე რუმინიას შეთანხმების მეორე მტრებთან—გერმანია ბულგარია ოსმალეთთან სადავო არაფერი აქვს და ამ რიგად მათ ომიც არ გამოუცხადა.

ეს ასეც რომ არ იყოს რუმინიის გამოსვლა სხვა მხრივაც არის საყურადღებო.

ის სახელმწიფო, რომელიც ყელამდის გამდიდრდა გერმანია ავსტრიის ოქროთი და მათთანვე ეკონომიური ხელშეკრულებაც აქვს დადებული, უცბად ომს უცხადებს ავსტრიას. ამის გარდა კიდევ ტრანსილვანიის დათმობას რომლისთვისაც რუმინია ბრძოლის ველზე გამოდის იმპერატორი ვილჰელმი უომრად ჰპირდებოდა რუმინიას. მაშ რათ გამოვიდა რუმინია ავსტრიის წინააღმდეგ? აი მთავარი საკითხი. ჩვენ არ ვიცით რას ჰპირდებიან უკანასკნელად შეთანხმების სახელმწიფონი მაგრამ ეს კი ცხადია, რომ ის ავსტრია გერმანიის დაპირებაზე მეტი ვერ იქნება ავსტრია-გერმანია ჰპირდებოდა რუმინია ბესარაბიის მამულებს ბალკანეთზე დაბოლოს ვილჰელმი ტრანსილვანიასაც, მაგრამ როგორც ეტყობა რუმინიას შეთანხმების დაპირებებში უფრო ხელსაყრელად დაუნახავს.

ან და კიდევ მისი გამოსვლა ერთგვარ ორჭოფ ხასიათს მიიღებს, რადგან იგი ჯერჯერობით ომს არ უცხადებს ბულგარეთ ოსმალეთ—გერმანიას და მისი ოპერაციები კი ავსტრიის წინააღმდეგ მიმართული საერთო ბრძოლის ველს დიდ შედეგს არ მოუტანს, როგორც არ მოუტანა პირველ ხანებში იტალიის გამოსვლამ, რადგან იქ ავსტრიას უკვე დიდი ჯარებისათვის მოუყრია თავი [illegible] თხვევაში ჩვენ უნდა [illegible] ახლო მომავალს, რომელი[illegible] გვამცნობს რუმინიის გამოსვლის ნაყოფს. ახლა ორიოდე სიტყვა უნდა ვსთქვათ გერმანია ოსმალეთ ბულგარეთზე

ეს სახელმწიფონი დიდ საშიშ ძალას წარმოადგენენ რუმინიისთვის. მათ საზღვარ მდებარეობის წყალობით რამდენიმე მხრიდან შეუძლიანთ შეესიონ რუმინიას და იგი სულ ცოტა ხნის განმავლობაში საგრძნობად დაზიანონ. მაგრამ ეტყობა, რუმინიას ამის არ ეშინია.

რუმინიის ომის გამოცხადებას შეთანხმების სახელმწიფოთათვის ბევრგვარი მნიშვნელობა აქვს. ერთი მათგანია, რუსეთს რუმინიის მომხრობით შეეძლო მის ნაპირებიდან დესანტი მოეხდინა და პირდაპირ ბულგარეთისთვის თავს დაესხა, მაგრამ ეს მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ რუმინია ბულგარეთს ომს გამოუცხადებდა, რაც რუმინიას არ მოუქმედება

ი. იმერელი.

P. S. ეს წერილი უკვე აწყობილი გვქონდა, როდესაც დეპეშამ ცნობა მოიტანა რომ გერმანიამ რუმინიას ომი გამოუცხადაო.

ამ რიგად გერმანია და მისი მოკავშირენი ამართლებენ იმ მუქარას, „თუ რუმინია „შეთანხმებულათ" მიემხრო მაშინ მას ყოველ მხრიდან შევესევით და მოვსპობთ. ეს მით უმეტეს ითქმის, რომ გერმანიას რუმინიისადმი ომის გამოცხადებას უსათუოდ მყისვე მოყვება ბულგარეთ ოსმალეთის რუმინიაზე თავდასხმა, რომლის დამამტკიცებელი აგრეთვე ის მოვლენა არის, რომ ბულგარეთმა დაიჭირა სალონიკისკენ მომავალი გემ.., რომელთა დაკავება რუმინიას ჰქონდა განზრახული.

ი. იმერელი.

---

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

1915 წლის 6 დეკემბრის კანონის ძალით ყველა მაზრებში დაარსდა სამაზრო კომიტეტები, რომელთაც ნება აქვსთ დროებით გაანთავისუფლონ ის მოლაშქრენი, რომლებიც მსახურებენ ჯარისა და მცხოვრებთა დამხმარე დაწესებულებებში.

როგორც გავიგეთ ზოგიერთ მაზრაში ასეთი კომიტეტები არ მოქმედებენ თურ-

---

## სომხები საქართველოში.

**(ისტორიული მასალები)**

(შემდეგი იხ. „სამ". №428)

VII

ერეკლე მეფეს მეორე დღესვე მიუვიდა შიოშ თუმანისშვილი, რომელიც ფრიად საინტერესო წერილებსა სწერს მანუჩარს-ბიძას და მამას სულხანს, ამ წერილებში მართალია დანაკარგი საქონლის პოვნას და ქურდების დაჭერას მეტი ადგილი უჭირავს. მოგვყავს ამ წერილებითგან ერეკლე მეფის შესახები ცნობები:

3) ბატონო ბიძაჩემო, მდივანო თქვენი ძმის წული შიოშ ხელს კოცნას მოგახსენებ. მერე თქვენი წიგნები მომივიდა და რაც გებძანებინათ ყველა ვცან . . . იმ დღეს ხომ ჯარი თქვენობისას მოვიდა და გაველ ბატონთან; იმ დღეს როგორც იყო საქმემ გაიარა; მორეს დღეს სამშაბათს გავედით და ის განსაცდელი მოგვადგა. საითაც გამოვიქეც. წინ ცხენიანმა ჯარმა სოღანლუღის გზიდამ ახლო მომასწრა და ბატონის მიზეზით (?) ძალიან წინაც ვიყავ, გამოიქცა ჯარი და მოგვყვნენ. რომ მოვედით შელიქის აბანოს ზეით, იმ მიწროში გავიჭედენით, ერთმანერთი აღარ გაუშვით, ასე გახდა ჩემი ცხენი ოფლში, რომ ჰრაქათის იმედი აღარა მქონდა როგორც იყო ქალაქს შემოვასწარ და წაველ გარეთუბნისაკენ წასასვლელათ; როგორ ღამაც გუნებამ ავლაბრისაკენ გამწია, დავბრუნდი და ავლაბრის კარზედ გაველი. იქით ჯარი აღარ გამოგვყვა და გარეთუბანი ჯარით აივსო სოლონაკიდამ უყურებდი გაღმიდამ ხოცავს და ჰჟერას, დიღმის მინდვრამდის სდიეს. იმ ღამეს მოველ წინკალს თითქმის უამხანაკოთ. დუშეთისკენ ამიტომ არ წაველ—ელი მრავალი იყო გზაზედ და სცარცვიდნენ და ზოგს ხოცდნენ, ამ განსაცდელს იქაც ვერ მოვრჩი. დაიძრა ელი და საათ ნახევარი იმათში ვიარე. იმ ღამეს გათენებამდინ კალოზედ ვიყავით, ცხენები ხელში გვეჭირა. მეორეს დღეს მიველ დუშეთს, მრავალი ხალხი მისულიყო და დიდი აყალ-მაყალი იყო. იმას ზეით ცხენების პატრონი ვნახე და მითხრა—ცხენები შეუტარებიათო ზეით, მეგონა თან წაიღებდა გამოხიზნულს ბარგს წაველ მიველ დედუფალი მთიულეთს ბძანდებოდა. ბატონიც მობძანდა. ვეძებე და ველარ ვიპოვე ელისბარა. ნიადაგ დღე ავიდარი, წყალი დიდი, საზარელი ტალახები, და არც ბატონი მიშვებს, რომ წავიდე და მოვნახო. იქიდამ ბატონი თავკაცით ციხის ძირს რომ მობძანდებოდა, მიბძანა-რასა იქო, შენს მეტი მდივანი არა მყავსო. ჩემი დარდი მოვახსენე და იმ ღამეს დასტური ვთხოვე; თითქმის უარი მიბძანა, მარამ მაინც წაველ, ვიპოვნე ელისბარა, ვკითხე და მითხრა—დუშეთს დავყარეთ წიწუაანთ სახლში. ღმერთმა შენს მტერს მისცეს, მე შევსწუხდი, ვიცოდი რომ დუშეთი აკლებული და გაქურდვილი იყო. რა უნდა მექნა? წამოველ ბატონთან, ბატონსაც წიგნები მოსდომია, ვერავინ უშოვნია და ამრეზით დამხვდა, არცა რას მეუბნება, მაგრამ წარბებზედ ვატყობ. ორიოთ საათს უკან გაიხსნა წარბი და საქმე კარგათ მოხდა. ამის მნახავი ველარც დუშეთს წასლვას ვბედავ, რომ იმდენი საქონელი მოუკითხავ მაინც არ დავაკარგიო. ოქმი დავაწერინეთ, წაველი დუშეთს, ვნახე ყუთები დამტვრეული და საქონელი სულმთლათ აკლებული, ორიოდ ქურდი დავიჭირე, მაგრამ რა გაუა მთელი დუშეთი და მთიული ზოგნი სულ ქურდები არიან და დაუფანტავთ, დავაწყებინეთ ზიდვა, მარამ რა ჰქნას კაცმა? ის მურასა ნივთები ორმოში უფლავთ და ეს ავიდარი ზედ დასდენია, მოვატანინეთ, ოთხი ყუთი ავავსე. რა ვქნა, ჩაწყობაში არ მინახავს და სია არა მქონდა; ზოგს ნივთს კი ვსცნობდი, უფრო მეტს, თქვენ ხომ მოგეწერათ წიწუაშვილთან რადგანაც არისო, უხათრიჯამო ადგილი არ არისო. თურმე რაც კარგები ყოფილა თითონ მოუპარავს და ამხანაგათ ჰყოლია არღუთაშვილი ფასანა და პაპა. კარგა ხანი გამოვიდა, რომ ვერა გავიგეთ რა, წიწუაშვილიც ჩვენთან იყო, ქურდების გალახვასა და მოტანაში გაგვეპარა და რომ შეუტყვეთ, ხელში ველარ ჩავიგდეთ. საწყალის მულუმას წმინდა საქონელი და ზოგი ჩვენი მთხრობლით საცა იყო, იქიდამ გამოვიტანეთ, წიწუაშვილი ველარ დავიჭირეთ, და ფოსანა და პაპა დავიჭირეთ ბატონმა ეს სამი ქურდი მოგვცა—თქვენი საქონელი ამათ გამოართვითო. წიწუაშვილსა ჰქონდა თერთმეტი ცალი ბამბა და ოცდა ხუთი ლიტრა ნასთი. დამკარგავნის იმის სახლში მულუმა არის ავეტიქაშვილები და ჩვენ რაც დაგვაკლდება ამათ უნდა პასუხი მოგვცენ, თქვენ უნდა თქვენი სია გამომიგზავნოთ რომ ვიცოდე—რა არის, და ისე მოვიკითხო, თორემ აბა რა ვჰქნა რაც არა ვიცი რა. თეთრი შტოფის ქათიბი ჩემის რძლისა და მაუდზედ ნაკერი ქურთუვი გუშინ საშაბუროდამ მიპოვნია, ბატონთან მოეტანათ, სოლომან მდივანს ეცნა და გამოერთმია, იმას მე გამოვართვი. ასე დაფანტულა, მარამ ღუთით არა დაიკარგება რა. ილაჯი გამიწყდა, ჯერ ერთის ქურდისა რა იყოს, რაც გადამხდა თუ სულ გავსწერე ერთი დასტა ქაღალდი მოუნდებოდა და ხელი ავიღე.

თქვენი სიმამრი და მოყვარე სტეფანე ცოლით შვილით და რძლით დატყვევებულიყო ურდოში, თითო-თითოთ დაეხსნა და წამოსულან. თურმე გზაზედ ორი ჯარის კაცი უკან დარჩომილი შემოხვდნენ, მოიტაცეს კიდევ სოლომონას ცოლი და წაიყვანეს. სხვანი მოსულიყვნენ ქალაქს, ესენი ოჰანეზა მალაქელაშვილმა მიამბო და მე დავაპირე რომ შვიდი რვა ცხენი მექირავნა, წავსულიყავ და წამომეყვანა. მითხრა ოჰანეზამ—არ წამოვლენო, სხვა რამ უფიქრეო, შიშველნი არიანო სექვსი შილა ორი ხუთის ჩითი, ორი ლეინი ვიშოვნე და მზათ დავიჭირე, შეუთვალე თუ წამოხვალ ცხენებს მოგაშველებ თუ არა, რაც იქ შეძლება საშიშვლოს გამოგიგზავნი. პასუხს ველი და რაც მომივა ისე მოვიქცევი: თუ წამოვლენ მოვიყვან, თუ არა ამ სალმელს გაუგზავნი. ქ. ჩემისპაპაანთი არა ვიცი რა, თუ მანდ არ არიან ქსანზედ იქნებიან, ადრე გამოვიდნენ, დარჩა ვინმე თუ არა, ეს არ ვიცი ქ. სიძე ასატურა დაუჭერიათ, გამოჰპარვია და ქსანზედ არის, ორმა-სამმა მნახავმა მითხრა. ქ. სხვა ვინც შინ იყვნენ, სულ დატყვევდა, ავეტიქა გამოპარულიყო, ისევ შინ გავგზავნე, რომ თუ რამ შენახული დარჩა, ეგების არ წაეღოსთ, იმით მაქვს, იმედი რომ ცეცხლი მალე მოჰკიდებია, ჩვენს სახლს, იქნება ველარ მიუდგნენ, კარგი იმედი მქონია. ქ. ბატონი სასახლე და მელიქისა, მილახვრისა, თუ სხვა ჩინებული სახლები გადაუწვავთ, ბაზარი მთლად დაუწვათ და ცუდი სახლიც კლდისუბნისაკენ, თუ სხვაგან იშვიათ მორჩომილა.

ქ. წითელი მიწა აქიმებს არა ჰქონდათ და იოანეს მალამოს გაკეთებას თათულა დამპირდა. ჩვენ დუშეთსა ვართ, ის (?) ციხის ძირს ცოლი ავადა ჰყავნდა. თუ შევიძელ ორსამთ დღეზედ ეგების გამოვგზავნო; მრავალი ტყვე გამოპარულა და ზოგნი გაუშვიათ, იქნები ჩვენიც მოსულიყვნენ, გიქუა მელვინე ხუთ აბაზათ დაუხსნიათ. ვინც იხსნება, იაფათ არის სადმე. აღამაჰმადხან განჯას მივიდა, გაცილებასაც ამბობენო მიეშურებაო. თურქმანს ასტარაბათი დაურბევიათ. რაც ტყვე დარჩენიათ, ყველასთვის გამოურთმევია, ჯავადხანისათვის მიუცია. ამბობენ თუ არ იქნას—ვალს (ერეკლეს), ამით შეურიგდიო. ოკტომბერს 3 ქვს უჰგ. შიოში. 17959 ოკტომბერს. №ზე ქ. ბატონო მდივანო ხელს კოცნა მომიხსენებია. ერე ბატონი თიანეთს წაბძანდა, თავი ვერ დავახწიე თან ვიახელ.. ბატონო მამავ (სულხან)! ბატონმაც ომანის (ხერხეულიძე) პირით დაგიბარა, მალე წამობძანდი, ახლა მაინც მნახეო, თქვენ რომ მობძანდებით, მე კი წამოვალ. თუ იშოვნოთ ცოტა თეთრი წამოიღე ქალაქისა, კარგი დრო არის, ეგების ცოტათ ბევრი ვიშოვნოთ. ოკდომბერს Ც, ქვს უჰგ." 1795 წ. 8 ოკტომბერს.

№ Ⴓ) „ქ. ბატონო მდივანო! თქვენი წიგნები მომივიდა, რაც გებძანათ ვსცან, მაგრამ დიახ დაგშორდით და ვჰგონებ ერთმანერთის წიგნი დაგვიძვირდეს, დღეს ტონნიანს მივალთ, რომ ცოტა ლეკის ამბავი მოვიდა და იმას უტრიალებთ და ქისიყს ჩავალთ. აღამაჰმადხანისა თქვეს დღეს (Ⴓ) დღე არის გოგიმში, რომელიც განჯის ბოლოს არის, იქიდამ წავიდაო, თქვენ მაინც ნუ აჩქარდებით, თუ არ ჩამოსულიყვნეთ (თბილისში), მერეთს შეიცადეთ. ბატონო ბიძაჩემო, რაც ჩემის მოვალეობის სამსახური გებძანათ, ახმეტას მომივიდა, ველარას გავაწყობდი, ყოველივე დუშეთს დაუტოვე, ახლა ნება გაქვსთ როგორც ამჯობინებთ. დღეის იქით [illegible] დამ ცხენზე ვისხდებით, არ ვიცი წავალთ, სად არა. ოკტომბერს ივ, უჰგ. შიოში... საწერელიც დაღალულ[illegible] ხელიც". № თ) „ქ. ღმერთმან თქვენი პირი თქვენს ძისწულს შიოშს მისცეს. ხითარაშვილის ხელით თქვენი წიგნი მებოძა. ერთი ახალუხი, ერთი პერანგი და ერთი პერანგის ამხანაგი რომ გებოძებინათ, მომივიდა, როგორც იცით რომ ჩემთვის საჭირო იქნებოდა, ეგრეთ მადლობელ ვიქმნენ.. რუსის ამბავს თქვენც შეიტყობდით. ხვალ, ზეგ ბატონი თელავიდამ აიყრება, ან რუსების მისაგებებლათ წავალთ, ან ქიზიყს და ან ქალაქისაკენ, ჯერ ესეც სწორე არ ვიცით.

ე, რადგანაც გასათავისუფლებელი არაინა გვყავსო. ვაუწყებთ ყველას, რომ, მაგალითად, კოოპერატივი ითვლება ისეთ დაწესებულებად, რომლის მოსამსახურეებს კანონი ანთავისუფლებს და კოოპერატივები კი მიყრუებულ სოფლებში არიან. მაშასადამე საჭიროა, რომ კომიტეტები ამოქმედდენ და კანონით მინიჭებული უფლება ყველას აღუდგინონ... ესევე კანონი შეღავათს აძლევს ქარხნებსა და მადნებში მომუშავეებსაც.

✦ ქუთაისის სამაზრო კომიტეტმა ჯაში გაწვევის ვადა გადაუდო ჩვენი გაზეასოთ-ამწყობებსა და რამდენიმე თანაობის პირს.

რედაქციამ მიიღო თეატრალურ ჟურნალის „თეატრი და ცხოვრები“ს მორიგი ნუმერი. ჟურნალი შინაარსიანად არის შედგენილი.

✦ ბრძოლის ველზე სიმამაცისთვის წმ. გიორგის ჯვრით და ოქროს ხმლით დააჯილდოვეს პოდპორუჩიკი ივ. კალანდარაშვილი.

✦ ქ. ალექსანდროპოლის სამხედრო ლაზარეთში (პოლიგენზე) წვანან ქართველი დაჭრილი ოფიცრები: გ. კიკნაველიძე ერ. დევიძე და სვიმ. ჭეიშვილი.

✦ პ. დ. ს. ცნობით წელს რუსეთში შიდა გუბერნიებში პურის კარგი მოსავალი ყოფილა, მხოლოდ ციმბირში ბევრი მისულა ქერი.

✦ ბ. სობრიევსკი. ქუთაისის სახაზინო პალატის უფროსი, რომელიც თბილისში იმყოფებოდა სამსახურის გამო უკვე დაბრუნდა ქუთაისში. ქუთაისის პოლიციის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ბ. ქუთაისის გუბერნატორთან, რომ მიეცეს მომატებითი ჯამაგირი „გარადაოვებს“ კაკაბაძის, და გვეღესიანს მათი შვიდიწლის სამსახურისათვის.

✦ ქურდობა 13 აგვისტოს ერმალო ეფრემიძეს დუქანში შეპარულა ქურდი სახლის სახურავიდან და მოუპარავს 19 მანეთი, ერთი ბუხრის ქუდი და 1 მანერის მარკები.

✦ ცეცხლის შედეგი. ბ. მორჩაძის სახლში გაჩენილმა ცეცხლმა დიდი ზარალი მოუტანა პატრონს. ცეცხლი გაჩენილა ბუხრის ძლიერი გახურებით, პირველათ სახურავზე და შემდეგ შემოედო მთელს სახლს. სახლის პატრონებს 2000 მანეთის ზარალი მიეცათ, მდგმურებს 1200 მან. გადარჩა დიწვისაგან სახლის ნაწილი.

✦ საყურადღებო განკარგულება. სახალხო განათლების სამინისტრომ გამოსცა ფრიად საყურადღებო განკარგულება — ამიერიდან ყველა სასწავლებელში მოსპობილ უნდა იქნეს საშკოლო ფორმა, რომლისთვისაც ამდენ ხანს ისე ერეკებოდენ შკოლიდან მოწაფეებს. საჭიროა რომ ადგილობრივი შკოლის უფროსებმა ეს განკარგულება 1 ეკენისთვიდანვე სისრულეში მოიყვანონ.

✦ წარმოდგენა. ორშაბათს, 15 აგვისტოს, არქიელის გორაზე ა. ახვლედიანის სახლში, გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნა „რაც გინახავს ვეღარ ნახავთ“ ა. ცაგარელისა და „კუდიანი ვარსკვლავი“ ვ. ბალანჩივაძისა. წარმოდგენამ ნამეტან სუსტად ჩაიარა.

✦ სახალხო შკოლების დირექტორი აცხადებს, რომ ყოველივე თხოვნა მასწავლებლის ადგილზე დანიშვნის შესახებ უნდა იქნეს მიმართული არა პირადათ მასზე არამედ იმ ინსპექტორის სახელზე ვის რაიონშიაც თხოულობს ესა თუ ის პირი ალაგს. ამ ჟამათ სახალხო შკოლების დირექტორი ბ. ვიშნევსკი ქ. ბათუმს გაემგზავრება რამდენიმე დღით; მის მაგივრათ მის თანამდებობას ეხლა ასრულებს 1 რაიონის ინსპექტორი ბ. ა. მ. ბრუსილოვსკი.

✦ უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლები ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორმა ბ. ვიშნევსკიმ წარუდგინა ოლქის მზრუნველს თუთხმეტი სოფლის დადგენილება თხოვნით — გახსნას ამ სოფლებში უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლები 1 სექტემბრიდან. ამ გვარი სასწავლებლები განძრახულია გაიხსნას-ხონში, ბაღდათში, ტობანიერში, სუფსაში, ხეთაში, ჯურუყეთში, ახალსენაკში, შემოქმედში ცახვში და სხვ.

✦ დახმარება ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ სახალხო განათლების სამინისტროსაგან მიიღო 4212 მან დახმარება 1916/17 წ. შკოლების შესანახათ.

✦ ექსკურსიები. ორშაბათს, 15 მარიამობისთვეს ქუთაისის მეთოდიკური კურსების მსმენელნი მასწავლებელნი გაემგზავრენ დ. სამტრედიაში საშკოლო მუზეუმის სანახავათ. სამტრედიის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში და კულაშში-საცადი მინდვრის დასათვალიერებლათ

გუშინ 16 აგვისტოს მასწავლებლები გაემგზავრენ გელათის მონასტერში.

✦ ცენტრალური ბიბლიოთეკები. სახალხო შკოლების დირექციას განძრახვა აქვს მოაწყოს ცენტრალური სამასწავლებლო ბიბლიოთეკები. ამისათვის მზრუნველს ეთხოვა 3200 მან.

✦ კახეთის რკინის გზის მთავარი გამგეობის დირექტორათ დაინიშნა თბილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი დ ე. ჩოლოყაშვილი.

✦ ქარიშხალი 9 აგვისტოს ქ. ფოთში გადაიარა ძლიერმა ქარიშხალმა. რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა, გარეშე მცხოვრებლებს ამ დღეებში ქ ფოთში გემით შემოვიდა 137 ათასი ფუთი სიმინდი, რომელიც უნდა გაიყიდოს რიგი ფოთში და რიგი სხვა ქალაქებში.

# დროა შევუდგეთ საქმეს.

რა არის იმის უმთავრესი მიზანი, ჩვენში რომ ქრონიკული შიმშილობაა? ომი, რკინის გზების მოუცლელობა და სხვა ამგვარი რამე — მეორე ხარისხოვან მიზეზთა რიგს ეკუთნის და ჩვენი ასეთი მდგომარეობა, უეჭველია, უმთავრესად ჩვენივე ბრალია.

მტკვრისა და ალაზან-იორ არაგვ-ლიახვისა და რიონისა და ყვირილა-ცხენის წყლის პატრონებს ჭირნახული რად უნდა გვაკლდეს და ჩრდილოეთ კავკასიას რად უნდა შევყურებდეთ?!

დიაღ! ჩვენი მეურნეობის დაცემის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ არ იქნა და არა — სარწყავი არხების გაყვანა ვერ მოვაწესრიგეთ, ე. ი. ხალხს ამისთვის თავი ვერ მოვუყარეთ, ვერ შევაერთეთ, ვერ შევაკავშირეთ. საზოგადო საქმისათვის შეკრებისა და შენაწევრების უნარი დავკარგეთ, რადგან ერთმანეთს აღარ ვენდობით, გადავკიდებივარ და გადავმტერებივართ.

მაგალითად, ქვიტირმა რომ ომამდის სარწყავი არხების გაკეთება ვერ მოასწრო, ამის მიზეზი — შინაური უთანხმოება იყო. ბ ამ სოფელს რომ სარწყავი არხები ჰქონოდა, განა ქუთაისს სიმინდი შემოაკლდებოდა?

დღეს პურისა და სიმინდის მოკლებაზე არა ნაკლები გასაჭირი გვადგია: ხორცის გაძვირება. ვის შეუძლია, გირვანქა ხორცში ორი აბაზი აძლიოს? და ხორცის მაგიერობას რა იქმს? ჩვენში ხომ დიდი საძოვრები არ არის, რომ რძითა და ყველით ვისაზრდოოთ! და ყოველ დღე რომ ლობიოთი კუჭს გავუმასინძლდეთ, — კი დევაც რომ ვიშოვოთ, — თქვენს მტერს, სადი კუჭი აღარავის შერჩეს!

ნუ თუ საქმეს არა ეშველება-რა? ვფიქრობ, რომ, თუ კი მოვინდომებთ, ისეთი არა არის-რა, რომ არ შემოევლებოდეს.

მიჩვენეთ ქვეყანა სადაც ამდენი ცივი და ანკარა მდინარე და წყაროა! და განა აქ სხვა და სხვა საუკეთესო თევზის გაშენება ძნელია?

რა კარგი ღირსება მოეპოვებათ ამისთვის, მაგალითად, რიონს, ყვირილას, ცხენის წყალსა და აუარებელს სხვა პატარა მდინარესა და წყაროს! რამდენი წვერა, ქაშაპი, ბოლოწითელი, კალმახი, ტობი და სხ. შეგვეძლო მოგვეშენებია?!

მაგრამ ჩვენი უბედურობა ის არის, რომ ბევრი გვყავს „განათლებული“ ბიზანტიელი, ხოლო ცოტა — ნამდვილი, რეალი, ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნით აღჭურვილი, საქმის კაცი. და მეორე, როგორცა ვთქვით, შემკრებელობითი, შემნაწევრებლობითი ნიჭი და უნარი გვაკლია.

მაგრამ, ნათქვამია, „გაჭირება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“, და დღევანდელმა გასაჭირომა თვალი უნდა აგვიხილოს და გზა უნდა გვიჩვენოს. შევერთდეთ, შევკრათ საქმითი ორგანიზაცია, კავშირი, „თევზის მომშენებელი ამხანაგობა“. საკმაოა, თვითეულმა მცირეოდენი წვლილი გაიმეტოს, — თუ ბევრი წვერი იქნება, — რომ სათანადო მოწყობილების შესაძენად, შესაფერი მეხელოვნის, სპეციალისტის, მოსაწვევად და საქმის დასაწყებად საჭირო თანხა შედგეს...

და, ეს დიდი საქმე რომ განხორციელდეს, ჩვენი ქვეყანა სიმდიდრის ახალ წყაროსაც გაიჩენს და აღარც დაიმშევა.

დიაღ! ჩვენი ცივი, ანკარა, მოჩუხჩუხე წყლები, — თუ კი კეთილად მოვიხმართ, — რომელ მადანს არა სჯობნიან?!

და ჩვენი მოვალეობაა, ის ხელუხლებელი სიმდიდრე, რომელიც ბუნებას ჩვენთვის უხვად მოუმადლებია. ჩვენვე მოვიხმაროთ, რომ სხვები არ დაეპატრონონ, ჩვენ კი რიყეზე არ დავრჩეთ.

ვასილ წერეთელი.

# ქართველ ისრაელთა საკითხის გარშემო.

(პასუხი სტუდ. ბ. ი. ხ-შვილს).

ზემოდ ვსთქვი: თქვენი მეორე წერილი გამეორებაა მხოლოდ პირველისა, და არა პასუხი ჩემ მიერ დაყენებულ საკითხებზე ახალი არა ფერი გითქვამთ რა, გარდა ჩემი პიროვნების ლანძღვა-გინებისა, და პირ იქით იმას გაიძახით ვითომც „მე თქვენ პიროვნებას შევხებოდე“ როდის? რით? როდის დაგაბეზღეთ ჩვენი ხალხის წინაშე? ან როდის გიწოდეთ ის რომ, ვითომც თქვენ სარწმუნოების წინაამდეგი იყოთ?

თქვენ მთხოვთ: მეცნიერულად დაგიმტკიცოთ, რომ ეროვნებით ჩვენ ქართველები არა ვართო. ეს ჩემთვის ისეთივე საკითხია, როგორც კაცმა მითხრას აბა დამიმტკიცე რომ მე „ხე“ არ ვარო. რაც შეეხება თქვენ მიერ წამოყენებულ საბუთებს ჩვენ „ქართველობაზე“ ამაზე უკვე გავგზანე პასუხი თქვენ ამხანაგ ბ. მ. ხანანაშვილისადმი და იქ ნახამთ თქვენ პასუხსაც. აქ შევეხები მხოლოდ იმ მუხლს, საცა თქვენ ახლად გეჩვენებათ ის ფაქტი, რომ („ჩვენში სარწუნოება ქმნის თვის ეროვნებას“). პირველი ფაქტორი ეროვნებისა სამშობლოა. სარწმუნოების მიღებამდის ჩვენ არა გვქონია სამშობლო, თვით სარწმუნოებამ მიგვითითა იმისაკენ (ე. ი. ქანაანისაკენ), სარწმუნოებამ დაგვისახა სამზღვარი იმ ქვეყნებისა და რომ სამუდამოდ შთანერგილიყოს მისი სიყვარული ისრაელის გულში, უწოდა მას „წმინდა ქვეყანა“ (ერეც აკედოშა) ამით სარწმუნოებამ მიზანს მიაღწია. ებრაელი საცა უნდა იყოს, მაინც გული იმისი იქიტკენ მიილტვის-თუ მას არ შეუძლია იქ თვის ცხოვრება, მოაწყოს, სიყვარული მაინც აქვს შეუწყვეტელი, დღისით თუ ღამით, ჭირსა თუ ლხინში, ლოცვას დროს, თუ ჭამის დროს ან საქმიანობის დროს თან დასდევს მას გულით. აი ამას ქვია „ხსენება ისრაელის ქვეყნისა“ („ზიხრონ-ერეც ისრაელ“) იუდა ჰალევის ლექსი „მე დასავლეთით ვარო, გული კი აღმოსავლეთითაო“. სწორეთ მტკიცე *) მე-2 ფაქტორი ეროვნებისა ენაა. ებრაული ენა ძალზე მდიდარია და სარწმუნოებამ მას დიდი უპირატესობა მიანიჭა, მაგ ენით „უბრალო ლაპარაკსაც კი მადლათ უთვლის“ სახელათაც „წმინდა ენა“ დაარქვა (ლაშონ აკოდეშ) ამითი შთანერგა ებრაელის გულში ამ ენის სიყვარული და იმ სამძლვრამდი მიაღწია, რომ ვერაფერმა ჩვენმა უანგარიშო წვამ და დაგვამ მაგ ენაზე ხელი ვერ აგვაღებინა, და ეს ენა მაინც 14 მილიონ ებრაელის ენათ დარჩა! მართალია ყველა ქვეყნებში ებრაელობამ დედა ენათ შეითვისა იქაური ენა, ასეღაც უნდა ყოფილიყო რადგანაც ყოველივე ებრაელის ცხოვრება ეკონომიურად თუ პოლიტიკურად შეკავშირებულია იმ ქვეყნებთან საცა მას ბედმა არგუნა დასახლება. შეუძლებელია დაფანტულმა ერმა თავიანთი ენით სხვა და სხვა ქვეყნებში, პოლიტიკურ თუ ეკონომიურ პირობებში, იარსებოს გაუგებარი ენით (ე. ი. სხვა ერებისთვინ) აი, ამიტომ დედა-ენათ ვითვისებთ ადგილობრივ ენას და „საერთო ძველი ენა კი“ შემაკავშირებლად“ დარჩა ებრაელებში. ამ ენით იწერება ებრაული სალიტერატურო წიგნები, გამოდის რამდენიმე თვიური, ორ კვირეული, კვირეული, დღიური ჟურნალები და გაზეთები ამ ენით ვასწავლობთ ჩვენ „თორას“ და სარწმუნოებას და არც ის როგორც კათოლიკები ლათინურათ გაუგებრათ ლოცულობენ. ჩვენ ამ ენით ვლოცულობთ, ვსწავლობთ და კარგათ გვესმის...

მე-3 ფაქტორია ეროვნებისა ზნე-ჩვეულება. აქაც სარწმუნოებამ რკინის გალავანი შემოარტყა ებრაელებს. და სხვა და სხვა დალის ერთ ფერობა და აღო ჩვენ ერს, რომ ვინც წინაგანზრახვით არ შეხედავს და სიმართლეს დაუკვირდება მალე მიხვდება რომ ისეთი ზნე ჩვეულება რომელიც ჰქონიათ ძველ ისრაელებს მოსედან დაწყებული თალმუდის შედგენამდის, მოუშლელ დღეათ დასჩენია ისრაელებს, რადგანაც სარწმუნოების დიდ გავლენას უმოქმედია ძველ ჩვეულებებზე: „ისრაელის ჩვეულება ნამდვილ სჯულივით არისო ამბობს თალმუდი — და იმ ჩვეულების შემშლელი სარწმუნოებას არღვევსო“. აი, ამნაირად შეახორცა ძველი ზნე-ჩვეულება ძველი მოხუცი ისრაელისა სარწმუნოება და ყველა ესენი საერთოა მთელ ქვეყნიერების ისრაელებისათვის და არც საქ. ებრაელებს აკლიათ ესენი.

აქ ადგილი არ არის, რომ ჩამოვთვალო 1000 ნაირი ზნე-ჩვეულება ჩვენი და სხვა ისრაელებისა საერთო. უმრავლესობის ატმოსფერა ყოველთვის თავის გავლენას ახდენს უმცირესობაზე, და ჩვენც ამდენი 1000 წლის ერთათ ძმურ-ამხანაგურ ცხოვრებით ბევრ რასმე შევითვისებდით ქართველი ერისას, (აგრეთვე სხვა ერებისას) მაგრამ ძველი ზნე-ჩვეულება კი ძველებურად დარჩა... მე 4 ფაქტორია ეროვნებისა კულტურა, დაიწყე თვით ბიბლიიდან, გაათავე ვიდრე თალმუდამდის, ესენი სულ სავსეა ვედრებით უფლისადმი. „ასწავლე შენ შვილს“ ებრაელური „თორა“ (ე. ი. მისი კულტურა) მის კულტურას შეადგენს თალმუდი და მას შემდეგ შემდგარ ათასობით სხვადასხვა ქვეყნის ებრაელური წიგნები ბევრი მათგანი ნათარგმნია ევროპიულ ენაზეც და საფილოსოფო ფაკულტეტზედაც ასწავლიან, მაგალითად, არამბაძის ფილოსოფიური ნაწერები და სხვები. ვინც არ სწავლობს ებრაელის კულტურას, იმას ჰქვია „უბრალო ადამიანი“ (ყამ აარეცი) მის პიროვნებას დიდათ ამცირებს სარწმუნოება ხალხის თვალში, სამაგიეროდ დიდ უპირატესობას ანიჭებს ამ კულტურის მოსწავლეს. ამ რიგათ დაასვა სარწმუნოებამ თავის ბეჭედი ებრაელურ კულტურასაც და ხალხის თვალში სწავლას მისცა „სიწმინდის“ ხასიათიც...

მე 5 ფაქტორია ეროვნების ტიპიური სახის შენარჩუნება. აქაც სარწმუნოებამ ისეთი გალავანი შემოარტყა ებრაელებს, რომ არავითარი გეოგრაფიული ცვლილება მათ ძველ ტიპს ვერ შეცვლის და ყოველთვინ ისინი გაირჩევიან საცა გინდა იყვენ სხვა ერებისაგან. ეს გახლავთ „სისხლის წმინდათ შენახვა“. აქაური ებრაელი ითხოვს ქალს ამერიკაში თუ იგი ებრაელის ქალია და არა თვით მეზობელ ქართველისას, თუ იგი ებრაელისა არ არის, და სწორეთ ამიტომ გახლავთ რომ ებრაელის ტიპი ძველად ინახება. აი ეს 5 ფაქტორები ეროვნებისა რითაც მტკიცდება რომ „სარწმუნოება ქმნის ჩვენში თვით ეროვნებას და განსაკუთრებულ ისტორიასაც“...*) მეცნიერი ლაზარი ამბობს: საუცხოოდ გაუთვალისწინებიათ ებრაელის-სჯულის მწერლებს მათი ერის მომავალიო და ამიტომ ის, რაც სხვა ერებს ეროვნულად აკავშირებსო ებრაელების სარწმუნოებას ჩაუგდია ხელშიო, თუ ეს ასე არ მომხდარიყო, აქამდინ ებრაელების სახელიც აღარ იქნებოდაო“, „სარწმუნოებამ შეასრულა როლი ეროვნებისაო ამბობს მეცნიერი ზამბურტი, თუ ეს ასე არ იყოს, აბა რაღა აქვთ საერთო ინგლისის და გერმანიის ებრაელებს ერთმანეთშიო“.

ონის რაბინი დ. ბააზოვი.

(შემდეგი იქნება.)

*) იხ. „ნაციონალიზმ“ ვაისისა გვ. 47. თარ. მარგოლინისა. კიდევ ლექცია ელლენიკ ა ქ. ლინცში, თარგ. მარგოლინისა, კიდევ იხილე „სპინოზა“ გვ. 55 ნათარგმნი ლაზარისა...

*) თქვენ მიერ მოყვანილი საბუთი ვ:თომ სარწმუნოების მიღებამდე ერად ვყოფილიყოთ, მართალი არ არის. წაიკითხეთ მოსეს სიტყვები „დღეს შეიქენით ერათაო“ ან და ვაისის წიგნი „ებრაელის ეროვნება“ მერე თქვენ თითონ გასცინებთ თქვენ ნათქვამ სიტყვებს.

# პოლიტიკური ორჭოფობა.

(იხ. „ჩვენი მეგობარი“ 13 და 14 აგვ. წერილი „იმ-ამ“-ისა).

არ იქნა და არა: ვერ გამოარკვია ბ-მა „იმ-ამ“ თავისი დამოკიდებულება სომხებთან. ხან მზად არის მათი გულის მოსაგებად საქართველოს მთელი მაზრები ჩამოსჭრას და მომავალ ჰაიასტანს უთავაზოს, ხან კი სომხებს მტრებად, აგრესიული პოლიტიკის მწარმოებლებად აღიარებს, მუშტებს უსუსურებს და სასიკვდილოდ ბრძოლას უცხადებს.

ამგვარად მისი პოლიტიკა ორჭოფია და აღარ ვიცით, რომელ „იმ ამ -ს დავუჯეროთ, პირველს თუ მეორეს! იმ „იმ-ამ“-ს, რომელიც „ჩვენი მეგობრის“ ფურცლებზე ქართველს ეროვნულ დემოკრატებს შოვინისტებადა და შავრაზმელებად ნათლავდა, თუ იმ „იმ ამ“ს, რომელიც ხატისოვის წინააღმდეგ გრგვინავდა? და, მართალი მოგახსენოთ, ხატისოვმა რომ იკითხა, რა დაემართა ამ კაცს, სასახლემ ხომ არ შეუცვალა ზნე და რწმენაო, ეს კითხვა სრულიად ბუნებრივი იყო.

აი, მაგალითად, ხსენებული წერილის პირველ ნაწილში 13 აგვისტოს ერთსა სწერს, 14-ს კი სულ სხვას. 13 ს დათმობასა და შერიგებაზეა ლაპარაკი, 14-ს კი მხოლოდ ბრძოლაზე, სამტრო მოქმედებაზე ვფიქრობ, რომ ამ პოლიტიკით შორს ვერ წავალთ, ბ-ო „იმ-ამ“.

სომხებსა და ქართველებს შორის პოლიტიკური შერიგების აუცილებლობის დასამტკიცებლად ავტორი იშხანიანს იმოწმებსო და მასთან ერთად გულუბრყვილოდ ფიქრობს, სომხები საქართველოს მომავალ ავტონომიას სისხლში ჩაახრჩობენო

ხელთუბნის სურსათს ნუ მისცემთ, მიზეზი ეს უთხარით ელმა (აყრილმა, გამოქცეულმა ხალხმა) აიკლოთქო და ბატონს მოვახსენებთქო. სარგო ახლო სოფლიდამ სხვა აიღევით. დათუა მაჩაბელს მოასხლობა მე გაურიგე, პურს დაშერდა, ბარაქიანს ორს ურემზედ ნაკლებს არა მგონია მოგვცემს; თუ არ მოერთმიოს — სთხოვეთ, კარგი კაცაა, ისეც არ დაგვიჭერს, რიცხვი ამიტომ არ ვათქმევინე, ნამუსზედ მიიჩემა...“ (ბოლო აკლია).

ი.) „ქ... მილახვარი იოსებ ჩემი სიმამრი და აღალო უტანისამოსო იყვნენ (დუშეთში) ორი თალხი კაბა ამოვიღე (ნაპოვნი საქონლითგან) და მივართვი... თქვენ (მანუჩარს) ამაზედ არც გარდამეტებულ მწუხარებაჲ გმართებს და არცარავის სამდურავი. ვისაც მიხედავთ, უარესი დამართებია ბატონითგან მოკიდებული ყველას თავთავის შესაფერათ ეს განსაცდელი მიადგათ. მაშ იმათ რა ქნან, ვისაც ცოლშვილი დაუტყვევ და და ვინც ცოლი... თქვენზედ შემძლებელნი იყვნენ. თუ შაბათს ღამეს არ ავჩქარებულიყავ, სხვაც რომ მრავალი არ გამოგვეტანა და ჩვენი ერთის ფულისა არა დაგვერჩენოდეს რა გამოუტანელი, ცარიელს სულსაც ძლივ მოვარჩენდით; იმდენი ქალაქს არ დაკარგულა, რაც გამოტანილი გზაზედ დაიკარგა. ამილახვარს ვინ ულაოტა და მელიქს? სულს აქეთ დაეღუპათ, თქვენ იცით, ურემიც მეტი შეეძლოთ, კაციც და დიდი ხანი იყო დადარიქიცა ჰქონდათ, მაგრამ ყველაზედ მეტათ მაგათ დაჰკარგეს. თქვენზედ მეტი ვინ რა ჰქნა, რომ ან ღუთისა და ან კაცისა მამდურავნი ვიყვენთ. ღვთისა რისხვა იყო და ზოგთ თავის თავი ძალით დაატყვევეს; კიდეც ის დატყვევდა, რომელმაც მძიმე თადარიგი დაიჭირა და ვისაც უნდოდა სრულიად გამოტანა, იმან ვერა გამოიტანარა...

ია) ქ. ღმერთმან ბატონის მდივნის ჭირი მათ შვილს შიოშს მოსცეს მერე თუ აქაურს ამბავს მოიხსენებ, დედუფალი თიანეთს დადგა, ბატონი ქიზიყისაკენ წაბძანდა. თელავს რომ მივედით, ლეკის ამბავი მოიტანეს. რომ ზეით თიანეთის მხარეს წამოსულიყო, დავბრუნდით ზეითკენ, დედუფალს წამოსვლა მოინდომებინა, წინ მივეგებენით და გადმობძანდა ახმეტას. ახლა აქედამ ავიყრებით, ასე მგონია დედუფალი თელავს დაბინაოს და ბატონი წაბძანდეს ქიზიყს და მაყურებელნი ვართ რუსის ამბისა, რასაც წამს ამბავი მოგვივა, სტეფანწმიდას მოგვიხდება წასვლა, საცა უნდა ვიყვნეთ...

ახლა კი ბატონს იახლით, ომან ლაშქარნივისს დააბარა (სულხანთან) — ახლა მაინც მნახეო. ბატონისთანათ არავინ გაყვლებილოა: არც ერთი საფენი და არც ერთი საცვალი არ გამოჰყვა, კაბა ქისიყის მოურავისა აცვიპ. ეს არა ჰქნა, რომ ხელცარიელი ნახო, სატროსის ყალამქარი თუ გქონდეს, ერთი იესდის მოვი და ერთიც რაც ამგვარი იშოვნო რამე — მოართვი ლეკის ჯარი საგურამოს დგას თურმე. თუ ქალაქზედ წამოხვიდე, სიფთხილით გამოიარეთ. ჩვენი რაც შევინახეთ (ორმოებში) ქვილა ავსტიქამ მითხრა — ცეცხლმა მისწრაო, ეგების დარჩომილიყოს. კაცნი გაგზავნეთ, იქნება ერთ-ერთიც არის ვიპოვნოთ რამე, ქურქელი, ანუ ფართალი მე ჩემი საქსონია მაწუხებს, თქვენ სახლი, მაგრამ ასე მგონია სახლიც ჩემსავით თქვენ არ გაწუხებდეს. კურთხეულარს ღმერთი, წელიწადში ერთი ოთახის აშენება თაფაუთს არ გვიზამს, ისევ მალე შესრულდება... ოკდომბერს, ვდ. ქვს უპგ შიოში“.

მღ ზ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება.)

რა უსაფუძვლო ფიქრია! როდესაც რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება იმდენად განვითარდება, რომ თვითეული და მოკიდებული ერი ავტონომიას მოიპოვებს, უეჭველია, „პაგრომებს“ ნიადაგი აღარ-ექნება.

იმავე დროს ბ. „იმ-ამ“ „ოლსტერის“ მაგალითით გვაშინებს: „ოლსტერის“ „ორანჟისტებმა“ ირლანდიის ავტონომიის განხორციელებას ხელი შეუშალესო.

მაგრამ, ჯერ ერთი, არცერთს ირლანდიელს ამიტომ ოლსტერის პოლიტიკურ შემოერთებაზე ხელი არ აუღია, — როგორც „იმ-ამ“-ს საქართველოს მაზრებზე, — და, მეორე, თუ კი ინგლისის მთავრობამაც კი, რომელსაც ორანჟისტებთანაც და ირლანდიის დანარჩენ ერთანაც კეთილი განწყობილება აქვს, ვერ შეარიგა ხსენებული მოპირდაპირენი, თქვენ როგორ-ღა გნებავთ, ბ-ო „იმ ამ“ შესძლოთ შეუძლებელი და შეარიგოთ ორი შეურიგებელი პოლიტიკა — ქართველებისა და სომხებისა?!

ცხადია, ეს უტოპია არის და საჭიროა, ამგვარს პოლიტიკურ ორჭოფობას, რომელიც ეროვნულს პოლიტიკურ შეგნებას აბნელებს, ბარემ ბოლო მოეღოს!

ისარი

## საზიანო შეცდომა.

ამ უკანასკნელი დროს მხარეს დიდძალი ქართველი მუშა აწყდება.

ხსენებულ ადგილებში შემდგარია „არტელები“ რომელნიც ქართველ მუშებს სამუშაოს უჩენენ.

მუშები მოდიან უმეტესად დასავლეთ საქართველოდან. მათი სამუშაოს საფასური თვიურად 50 მანეთია თავის ხარჯით.

მუშას თვიურად სახარჯოდ უნდება 40 მან. მაშასადამე თავის ნაშრომისგან რჩება სულ ერთი თუმანი.

თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე შრომას, რომელსაც ქართველი მუშა ხსენებულ ადგილებში ეწევა, ერთი თუმანი მისთვის ვერაფერი სანუგეშო იქნება; მით უმეტეს რომ მუშები ხშირად უცხო ჰაერისგან ავად ხდებიან, სნეულდებიან და დღევანდელ სიძვირეში ერთი თუმნის წამალიც არ ჰყოფნით, აქედან ცხადია, რომ იმ გაჭირვებულ ოჯახს, რომლის საშველადაც მუშა შორს გადიხვეწა, მისგან, გარდა ზიანისა — ვერავითარი სარგებლობა ვერ მოუვა

თვითონ ჩვენი საეჭურნეო ცხოვრებისთვის კი მეტად საშიშ მოვლენად უნდა ჩაითვალოს დღევანდელ უკაცობის ხანაში ქართველი მუშების შორს გადახვეწა და დასნეულება. რასაკვირველია ქართველი მუშები იხვეწებიან სიღარიბე გაჭირვების გამო.

იმერეთის მცხოვრები სიღარიბიდან თავის დახწევას ყოველთვის გადაღმა მოჯამაგირეობით ლამობს, რადგან საკუთარი ჩვეულებრივი მეურნეობა მას ხშირად წლის სარჩოსაც არ აძლევს.

ყველა ეს უნდა აიხსნას ჩვენი მეურნეობის დაქვეითებით, რასაც ქართველმა ხალხმა ყურადღება უნდა მიაქციოს.

უნდა განვითარდეს სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგი, და ჩვენი სოფლელები გაეცვნენ მათ.

მარტო სიმინდის დათესვა რასაკვირველია ვერ იქნება გლეხის ათასგვარ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელი, საჭიროა სიმინდის მოწევის შემდეგ სხვა მცენარეულობის დათესვა, მებოსტნეობის განვითარება, სხვადასხვა ცხოველების მოშენება მომრავლება და მაშინ ყველას გვწამდეს, რომ ქართველი გლეხი უიმედოთ აღარ დაუწყებს ცქერას თავის ოჯახს და გადაღმა სამოჯამაგიროდ აღარ წავა.

კიდევ ვიმეორებთ, რომ ქართველი მუშების დღევანდელ მდგომარეობაში გადაღმა სამოჯამაგიროდ გადახვეწა ჩვენი ქვეყნისა და თვით მუშებისათვის მეტად საზიანოა და ახლავე ბოლო უნდა მოეღოს ქართველ მუშების ასეთს გადახვეწას.

ირ — დი.

## შორეულ აღმოსავლეთში

როგორც სატახტო გაზეთებმა გადმოგვცეს, იაპონია-ჩინეთს შორის მოსალოდნელია დიპლომატიურ დამოუკიდებლობის შეწყვეტა და ომი.

ამ რიგად განათლებულ ევროპის საუბედურო ქარცეცხლს შორეულ აღმოსავლეთში ახალი წევრი უჩნდება. ჩინეთ-იაპონიის დავა ბევრის მხრივ არის საყურადღებო. აზიაში მდებარე იაპონია არაჩვეულებრივის სისწრაფით განვითარდა, შექმნა თვალსაჩინო კულტურა და 1900 წ. უკვე ევროპის სახელმწიფოების სწორი უფლებიანი წევრი შეიქნა. იაპონიის ასეთი წინ წაწევა დიდ სახელმწიფოთ ვერაფრად ეჭაშნიკათ, მაგრამ მაშინ ხელის შეშლა შეუძლებელი გახდა.

იაპონიის გაძლიერება ყველა სახელმწიფოზე უფრო ჩინეთისთვის შეიქმნა სამძიმო და საზიანო.

იაპონიას, რომელსაც თავის ბუნებრივი მიწა წყალი არ ყოფნიდა სამოსახლოდ იძულებული შეიქმნა უზარმაზარ ჩინეთს შესეოდა.

პირველ ხანებში იაპონიის იმპერიალისტებმა საქმე მიიდა საკეთილოდ წაიყვანეს, გაუნათლებელი ჩინეთი ყმად გაიხადეს და მას ყოველ მოთხოვნილებაზე ხელს აწერინებდენ.

მაგრამ შემდეგში განახლების მზემ ჩინეთში შეანათა.

დღეს ჩინეთი აღარაა ბოგდიხანის საბრძანებელი, არამედ რესპუბლიკა და გერმანიის მოკავშირე, რომელმაც თავდამსხმელ იაპონიის წინააღმდეგ ძლიერად აღიმაღლა ხმა და იარაღით შებრძოლებას აპირებს.

ახლა შევეხოთ თუ როგორ გავლენას მოახდენს იაპონია-ჩინეთის ომი მებრძოლ დიდ სახელმწიფოებზე. იაპონიის ჩინეთში ოსტატური ხელის ფათური იმ თავიდანვე ინგლის ამერიკა — რუსეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ იყო მიმართული, რამაც ბევრჯერ ომამდინაც კინაღამ მიაღწია. მხოლოდ დღეს იაპონია ინგლის რუსეთის მოკავშირეა, რომელნიც, რაც უნდა აბუჩად აიგდოს იაპონიამ მათი ინტერესები ხმას ვერ ამოიღებენ, მაგრამ აქ არის ამერიკა რომელიც კარგა ხანია ემუქრება იაპონიას, თუ ეს უკანასკნელი ჩინეთს შეებრძოლება. ამერიკა უთოდ ჩინეთის მოკავშირეთ გამოვა, რომელსაც თქმა არ უნდა გერმანიაც შეუერთდება. ამ რიგად ევროპის საერთო ცეცხლი კიდევ უფრო გაღვივებას აპირებს. და ამ მეორე ცეცხლის დამთებლად ხდება პატარა, მაგრამ ეშმაკობით განთქმული გამოქნილი იაპონია

ის იაპონია, რომელმაც რუსეთს თითქმის უომრად ჩამოაცალა რამდენიმე კუნძული და დღეს მასთან კავშირი დასდო.

Sez.

## პროვინციის ცხოვრება.

**ძირულა.** (შორაპ. მაზრა) ამ პატარა დაბიდან ბევრ რამეს სწერენ ადგილობრივი და გამვლელი კორესპოდენტები, მხოლოდ რაც უფრო საჭირო არის, ამის შესახებ ჯერ არაფერი დაუწერიათ: ეს გახლავთ ორი ქარხანა „შრომა“ და „კოვგორცა“ რომლებიც დაარსებულნი არიან 1900 წლიდგან უცხოელი ამხანაგობისაგან, მაგრამ დღეს მისი გამგეა ვიღაცა ზვენიგოროდსკი და მისი აგენტი პეტრე აკ კაპიტკოვი; ამ ორი პიროვნების ხელშია მთელი 300 კაცის ბედ იღბალი, რომლებიც აქ მუშაობენ და როგორც ნებავთ ისე ატრიალებენ საქმეს.

მუშებისთვის არ არსებობს დასვენება არც საქმი დღეს და არც კვირას, არც განსაზღვრული დრო მუშაობის და არც ქირა... წაუღერია ყველას კისერი ამ პაპანაქება სიცხეებში ზამთრის სიცივეებში და იმოკლებენ სიცოცხლეს გაუვალ მტვერში, ბოლში და ტალახში... და ასეთი სიძვირის დროს როდესაც ყოველიფერი სანოვაგე ერთი სამად ფასობს და როდესაც ყოველი დარგის მუშას ორი ზომა ჯამაგირი ეძლევა, ამათ მხოლოდ იმ თავიდგან დადგენილი ქირა ეძლევათ 16 საათის მუშაობაში-60 და 80 კაპეიკი ერთი სიტყვით აუწერელია ამ მუშების მდგომარეობა.

ხსენებული ქარხნის გამგეებმა ამ ბოლო დროს ვაჭრობასაც მიყვეს ხელი და აწვდიან საზოგადოებას პირველ საჭიროების მოთხოვნილების საგნებს: სიმინდს, პურს და სხვას მაგრამ ნუ იტყვით თუ რა „ხრიკებს“ უგებენ ისედაც გაძვალტყავებულ მცხოვრებთ: ერთ ფუთ სიმინდზე ათი გირვანქის დაკლება აწონის დროს ასეთი სიძვირის დროს პირდაპირი დახჩობაა კაცისა!!. ეს გარემოება შეიტყო 10 აგვისტოს ძირულის კოოპერატიული „სახალხო დუქნის“ ნოქარმა ევ. ებანოიძემ, ამ დღეს ერთ მოხუც დედაკაცს, რომელიც ათი ვერსის სიშორიდან ყოფილა მოსული ძირულაში სიმინდის სასყიდლად უყიდნია ქარხანაში ბ-ნ კაპიტკოვიდან ერთი ფუთი სიმინდი, ამის შემდეგ მისულა „სახალხო დუქანში“ და ერთი ფუთი იქ უყიდნია ამ დროს ზემოხსენებულ ნოქარს ევ. ებანოიძეს მისგან ქარხანაში ნაყიდი სიმინდი აუწონია და ათი გირვანქა დაკლებია; ეს გარემოება საჩქაროდ ეცნობა ადგილობრივ მამასახლისს ხაჩიძეს რომელმაც მრავალი მოწმის თანდასწრებით აწონა სხვა პირებისაგანაც ქარხანაში ნაყიდი სიმინდი და აღმოჩნდა, რომ ყველას აკლდა ფუთზე ათი გირვანქა, — რომ ნათლად დარწმუნებულიყო სიყალბეში, მამასახლისმა წაიღო მრავალი ხალხის თანდასწრებით სასწორი და ქარხნის კარებთან დადგა მექარხნის შეუმჩნევლად ვისაც იქიდგან სიმინდი გამოქონდა ყველა ასწონა და აქაც იმ გვარივე სიყალბე აღმოჩნდა... ამის შემდგომ მამასახლისმა გამოიხმო ბატონი კაპიტკოვი, რომელიც მსიყიდველებს აღებდა ბრალს — ვითომ სიმინდს ისინი მოაკლებდენო, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, როგორც კი დაინახა სასწორი ქარხნის კარებთან მაშინვე გაშავდა და ჩაკმინდა ხმა მრავალი მოწმის თანდასწრებით შესდგა ოქმი და გარდაეცა შორაპნის მაზრის უმფროს №1095 ით.

ეს კაპიტკოვი ბრძანდება ის, რომელმაც უნდა ასწონოს და მიიღოს დღეში არა ნაკლებ — ორი ათასი ფუთი მადნეულის ქვა და რაღა საეჭვოა რომ სიმინდზე თუ კი ამდენს იპარავდა — მადნეულზე ხომ მეტი იქნებოდა!! საჭიროა, რომ ასეთ სიყალბეს ახლა მაინც მიაქციოს საზოგადოებამ ჯეროვანი ყურადღება და ძომავალში აღარ გამეორდეს ასეთი მოვლენა დროა შეიგნოს ძირულის საზოგადოებამ, რომ ასეთი მადნეულობით სავსე კუთხე ნახევრად მაინც გამოიყენონ თავიანთ სასარგებლოდ და მუქთად არ ჩაუყარონ თავიანთი სიმდიდრე ვიღაცა ზვენიგოროდსკებსა და ხელმრუდე კაპიტკოვებს.

ერმალოზ დიმიტრის ძე ებანოიძე.

## ქ. ალექსანდროპოლი.

ეს ქალაქი მდებარეობს ყარსის გზაზე თბილისზე 206 ვერსის მოშორებით.

ადგილ-მდებარეობა ქალაქისა ვაკეა მხოლოდ მის აღმოსავლეთ დასავლეთით აღმართულია ილდივანის მთები. ეს მთები საზღვრავს არდაგნს ალექსანდროპოლისგან, რომელიც მასზე 45 ვერსით არის დაშორებული. ქალაქის მოსახლეობა თითქმის სულ სომხობაა. თუმცა არის უმნიშვნელო რიცხვი მაჰმადიანებისაც.

თვითონ ქალაქი ძალზე უსუფთაოა, ქუჩები ულაზათო, ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული, სახლები მეტად დაბალი და ალაგ-ალაგ მიწურიც. ქუჩებში განუწყვეტლივ შეხვდებით სხვადასხვა შინაურ ცხოველებს, რომლებიც ადამიანებთან ერთად მიდიმოდიან, ერთი სიტყვით სისუფთავის დაცვა ალექსანდროპოლში საჭიროდ და სავალდებულოდ თითქმის არავის მიაჩნია.

მცხოვრებთა საერთო უსუფთაობას ხელს უწყობს აგრეთვე გამუდმებული ქარიც, რომელიც მოუკირწყლავ ქუჩებიდან ამდგარ მტვერს გამვლელ-გამომვლელს შიგ პირის სახეში აყრის, რისთვისაც მცხოვრებთა უმეტესობა სათვალეებით დაიარება.

რაც შეეხება ქალაქის კულტურულ ცხოვრებას ადგილობრივი მკვიდრნი ასეთ ცხოვრებაზე დიდათ დაშორებულნი არიან. ისინი ასრულებენ მხოლოდ დღიურ ცხოვრების წესრიგს. სასწავლებლები ნაკლებადაა, საშუალო სასწავლებლიდან არსებობს მხოლოდ ერთი კომერციული სკოლა.

ალექსანდროპოლში ბლომად სცხოვრობენ მოსული მოხელენი თუ სხვა თანამდებობის პირნი.

აქ შეხვდებით მესასადილოე ქართველებს, რკინის გზაზე და მის დეპოში მომუშავეთ, ფერშლებს, ექიმებს და სხვათ.

მაგრამ სამწუხაროთ ყველა მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის შესახებ ნაკლებად უძგერთ გული, რაიც აიხსნება მათი დაცალკევებით, ერთობის უქონლობით აქაური ქართველები ერთმანეთს არ ეკარებიან, მათში არ არსებობს ქართულ საქმეზე ზრუნვის სურვილი. შემხვდა ორი სამი ქართველი რომელნიც აქაც ქართველობენ და სამშობლო ქვეყანას არ ივიწყებენ. ბევრია აქ აგრეთვე ქართველი სამხედრო სამსახურის კაცი.

ამას წინად პოზიციაზე მიმავალ №-ს პოლკის ჯარის კაცებს აკაკის სადამო გაუმართეს ქართულ-რუსულად. სადამოში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ცნობილმა სამხედრო ფერშალმა არსენ ლოლიაშ და თავისუფალმა ჯარისკაცმა (სემინარიის მე-IV კლასის მოწ.) მაქრო დედაბრიშვილმა, რომელთაც მოხდენილად წაიკითხეს უკვდავ მგოსნის აკაკის ლექსები და ბრძოლის ველზე მიმავალ ახალგაზრდებს მშობლიურ ჰანგის მოსმენით გული დაუტკბეს.

კარგია ასეთ სადამოს თუ წარმოდგენას აქაური ქართველები საერთოდ და ჩემ.ხშირად გამართავდენ ხოლმე, რომელიც მათთვის როგორც უძველგვარ მშობლიურ დაწესებულებას მოკლებულთათვის შემაერთებელ ძაფად ჩაითვლება.

ამ ჟამად ალექსანდროპოლი თითქმის სულ ჯარს უკავია.

ბინას საქირაოდ ვერსად იშოვით.

სიძვირე აქეთ ენით უთქმელია.

მაგრამ უფრო სავალალო ის არის, რომ სხვადასხვა პირველსაჭიროების საგანი ქალაქში აღარ იშოვება. მაგალითად ძნელია შოვნა: ასანთისა, მარილისა, და წამლეულობისა. პური იყიდება განსაკუთრებულ წესით (მორიგეობით) სულზე ერთი გირვანქა.

ყველი გირვანქა 75 კაპ. შაქარი 60 კაპ. საზამთრო 7 კაპ. ყურძენი 30 კაპ.

ჭ — დ.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. „**სამშობლო**“



## რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის — | 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 „ |
| შორაპნიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის — | 11 ს. — „ |
| „ | — ღამის — | 12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის — | 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. 8 „ |
| ტყიბულისკენ | — დილის — | 6 ს 20 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 „ |


# გამოიცა და იყიდება.

კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში (ქუთაისში)

რუსული ენის პირველ დაწყებითი სახელმძღვანელო „Новое слово“ ნაწ I მეორე გამოცემა. უხვად დასურათებული. შედგენილი **ს. ოცხელის** მიერ. ფ. ეღით 2 აბაზი.

ამ წიგნის პირველ გამოცემას თითქმის ყველა ქართული პერიოდიული გამოცემა (გარდა ჟურნ. „განათლებისა“ თანაგრძნობით შეხვდა პრაქტიკის მქონე მასწავლებლები გამოცდის შემდეგ იმ დასკვნამდი მივიდენ, რომ „Новое слово“ თი სწავლებით მოწაფეები არა ჩვეულებრივ ხალისით და წარმატებით ითვისებენ რუსულ ენას. სამოსწავლო ოლქმა, თანახმად ოლქის მზრუნველის დადგენილებისა, ავტორს აცნობა ოლქის რეცენზენტის აზრი, სადაც სხვათა შორის ნათქვამია. Способъ разучиванія матеріала, предложенный составителемъ „Новаго слова“ имѣетъ несомнѣнныя достоинства, и умѣлое пользованіе имъ значительно оживитъ преподаваніе, а равно и усвоеніе дѣтьми русскаго языка... „Новое слово“ можетъ быть признано вполнѣ подходящимъ руководствомъ для грузинскихъ народныхъ школъ.

287 5—1.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

## აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილობ, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

# ავი სენი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინაამდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3 — 5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9 — (წლიური)